



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა



განკარგულება:გ-95.95251782

თარიღი:27/06/2025

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტისა და 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.დადებითად შეფასდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.

2.დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

